



დღე

№250
(12 320)

23 ოქტომბერი სამშაბათი 2007
ბამონის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

სანეგალმა თამაში შემოგვთავაზა

კასპერჩაკი ტოპიოლარის წინააღმდეგ?

ორიოდე დღის წინათ გაცნობეთ, 17 ნოემბრისთვის საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის ჩატარების სურვილი ორ ნაკრებს, ბოსნიასა და იორდანიას რომ აქვს. ბოსნია მზადაა თბილისში გვეწვიოს, იორდანია კი თავისთან გვეპატიჟება. ამ ორ ვარიანტს გუშინ მესამეც დაემატა. ფეხბურთის ფედერაციაში მოსული ფაქსის თანახმად, სენეგალის ნაკრები 17 ნოემბერს, ამხანაგური თამაშისთვის საფრანგეთში გვეპატიჟება. სენეგალის ეროვნული გუნდის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ფრანგულ კლუბებში ასარეზობს და მათთვის უფრო მისაღები სწორედ საფრანგეთში თამაშია. ქართულმა მხარემ თბილისიდან სენეგალში თავისი პირობები გააგზავნა და პასუხსაც რამდენიმე დღეში ელიან.

“სენეგალიდან მართლაც მივიღეთ წინანდადება 17 ნოემბერს, საფრანგეთში

გეთმი ამხანაგური მატჩის გამართვასთან დაკავშირებით. ჩვენი პირობები უკვე გავაგზავნეთ, მოლაპარაკებები დაიწყო და ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. გვაქვს სამი ვარიანტი, ბოსნიის, იორდანისა და სენეგალის. მათგან ერთ-ერთს შევარჩევთ”, - “ლელოსთან” საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

სენეგალი ფიფას რეიტინგში ამჟამად მე-40 ადგილზეა. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი პოლონელი ჰენრიკ კასპერჩაკია. ბოლო სამ მატჩში ამ გუნდმა განასთან სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა, ბურკინა ფასო შინ 5:1 დაამარცხა, ბოლოს, 14 ოქტომბერს კი საშინაო მატჩში გვინეას 3:1 სძლია.

დავით ცაბაძე

ს19. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ყანია და მჭედლიძე გამოგვაკლდნენ

19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დღეს დასკვნითი მატჩებია, მაგრამ მომდევნო რაუნდში გამსჭვლელთა ვინაობა უკვე ცნობილია. მესამე ტური გუნდების საბოლოო მდგომარეობას მხოლოდ ცხრილში გაარკვევს. დღეს ლატვიას ვეთამაშებით, რომელ-

საც ჩვენს დარად ორი წაგება აქვს, მაგრამ ბურთების ცუდი ბალანსით ბოლო ადგილზეა. ჰაინც ტოპიოლარის გუნდს ისლა დარჩენია, დასკვნითი მატჩი მაინც მოიგოს და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავოს.

2



ლატვიას დღეს ლევან ყენიასა (10) და ლევან მჭედლიძის გარეშე ვეთამაშებით

ხელბურთის ნაკრების ჯარი ღგება 11

25-27 ოქტომბერი,
სპორტის სასახლე.
ჩელენჯ ტროფი:
საპარტიველო, აზერბაიჯანი,
მოლდოვა, სომხეთი



პრეზენტაცია ფეხბურთისა და რაგბის ბანეთარეებისთვის

ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფეხბურთი პრიორიტეტულად გამოაცხადა. ცოტა ხნის წინათ, ქვეყნის პირველი პირი, მსოფლიო თასზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრების თამაშში აღაფრთოვანა და რაგბის განვითარებისთვის სამზადისი დაიწყო. ერთი სიტყვით, ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი ფეხბურთთან ერთად უკვე რაგბიც გახდა და სპორტის ამ სახეობათა განვითარებისთვის სახელმწიფო პროგრამებზე მუშაობა გაჩაღდა. მუშაობა უკვე დასრულებულია და მიმდინარე კვირის ბოლოს, ფეხბურთისა და რაგბის სახელმწიფო განვითარების პროგრამების (ცალ-ცალკე) პრეზენტაცია შედგება.

დავით ცაბაძე



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კომპანია ყაზბეგი




www.pfl.ge

საქართველოს

უმაღლესი ლიგა. IX ტური. მიმოხილვა

ჩემპიონატი

ქართული უკომპრომისობა



ნესტორ მუშლაძე

მოვლენა

გასულ ტურში, მართლაც "უნიკალური" მოვლენა მოხდა - თბილისის "დინამო" ჩემპიონატში პირველად დამარცხდა! "დინამოს" ამ ტურამდე ასპროცენტულიანი მაჩვენებელი ჰქონდა - რვა შეხვედრაში რვა მოგება ბურთების ფნტასტიკური სხვაობით (24-2). ეგ კი არა, შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული ეს იყო დინამოელთა პირველი საშინაო მარცხი; ანუ, მას მერე, რაც ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ჩემპიონატის სპეციალისტმა დეუსან უპრინმა ჩაიბარა. ჰოდა, ამ მარცხის გამო იყო, რომ წლებადღეს სეზონში პირველად "დინამო" ცხრილის სათავეში აღარ არის და მისი ადგილი "ზესტაფონმა" დაიკავა...

...ცნობილი გამოთქმაა: ფეხბურთს კაცები თამაშობენო. კაცებმა კი, გაზარდებულმა შესაბამისად უნდა იზიჟონ და წაგებაც ღისეულად აიტანონ. ხშირად გვინახავს, როცა წაგებული გუნდის ფეხბურთელებს მატჩის შემდეგ ნერვები ვედარ მოუთოკავთ და მეტოქე გუნდის ფეხბურთელებთან უჩხუბიან; აღარაფერს ვამბობთ "საუკუნის დამნაშავეებზე" - დამარცხებული გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელთა უმრავლესობა ყველაფერს ხომ მსაჯებს აბრალებს?! მოკლედ, ჩვენს ჩემპიონატს მატჩისშემდგომი გარჩევები არასდროს აკლდა (განსაკუთრებით - ნინა სეზონში), მაგრამ ვერაფრით ვიხსენებთ იმ ფაქტს, როცა შეხვედრის დასრულების მერე ხელჩართული (გნებათ-ჯგუფური) ჩხუბი... თანაგუნდელებს შორის მომხდარიყო! და ყველაფერი ეს ხდება ნაცნობ-მეგობრებისა თუ გულშემატკივრების თვალწინ! ნამდვილად არ გვაინტერესებს, ერთი მხარე იყო მართალი, თუ - მეორე; თუმცა, როცა თითქმის ნახევარი გუნდი ერთ კონკრეტულ ფეხბურთელს (თანაგუნდელს და მეგობარს!) საცემად გამოეკიდება, ალბათ,

ამისათვის რეალური მიზეზიც იქნებოდა. სხვათა შორის, მოჩუბართა უმრავლესობა ახალგაზრდა ბიჭები (თანაც, ერთობ პერსპექტიული ფეხბურთელები) იყვნენ და ეტყობა, ამ ფაქტმა გარკვეული როლი ითამაშა. საბედნიეროდ, იმ გუნდში კაცებიც თამაშობენ - ასაკითაც და ცხოვრების წესითაც რომ ამართლებენ ამ სახელს; ჰოდა, ამ კაცებმა იყოჩაღეს და გამშველებლის როლიც შეასრულეს და შემრიგებლისაც. სხვანაირად არც უნდა ყოფილიყო...

მწვრთნელი

ტურის მწვრთნელს რა გამოცნობა სჭირდებოდა? "დინამომ" ჩემპიონატში პირველი მატჩი წააგო და მისი მეტოქის - "ვიტ ჯორჯიას" თავკაცი ნესტორ მუშლაძეც სამართლიანად დავასახელებული ტურის მწვრთნელად. უკვე მერამდენე სეზონია, რაც "ვეტერინარები" დინამოელთა ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლებიან; ეგ კი არა, ვეღარც ვიხსენებთ როდის იყო, როცა "დინამო" ჩემპიონატში ორივე მატჩს უგებდა "ვიტ ჯორჯიას". თუმცა ამ ტურის წინ "დინამო" მაინც ფავორიტად ითვლებოდა და ბევრს ნამდვილად არ სჯეროდა, რომ დეუსან უპრინის გუნდი პირველ ქულებს სწორედ "ვიტ ჯორჯიასთან" დაკარგავდა. მაგრამ ნესტორ მუშლაძე და მისი ფეხბურთელები აშკარად "სხვაგვარად ფიქრობდნენ" და მრისხანე მეტოქესთან სათამაშოდ უაღრესად მოტივირებული გამოვიდნენ. "ვეტერინართა" მწვრთნელის მიერ არჩეულმა თამაშის აგრესიულმა სტილმა საბოლოოდ გაამართლა და ვინც "ვიტ ჯორჯია"- "დინამოს" მატჩი იხილა, ალბათ, ყველა დაგვეთანხმდება, რომ საბოლოო შედეგი ლოგიკური იყო. ერთიც არის - მუშლაძეს მეტოქე კარგად ჰყავდა შესწავლილი და "დინამოს" ყველა ლიდერი სანყისი ნუთებიდანვე კონკრეტული მუხრეების "ტყვეობაში" აღმოჩნდა. უმეცდო-

მო თამაში დაცვაში, მობილური შუახაზი და ფორვარდების აქტიურობა - "ვიტ ჯორჯიას" ის თამაში გუნდური სულისკვეთებითა და, რაღა თქმა უნდა, მწვრთნელის გამჭრიახობითაც მოიგო? ცნობისათვის: განვიღო ცხრა ტურში ნესტორ მუშლაძე უკვე მესამედ დავასახელებული ტურის მწვრთნელად, ასეთი პატივი კი მის კოლეგებიდან არავის რგებია. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა...

მორიგი უკომპრომისობა

ქართველები ყოველთვის და ყველგან ჩვენს "განსაკუთრებულობას" ვუსვამთ ხაზს და საფეხბურთო ჩემპიონატშიც განსაკუთრებული გვაქვს. ყოველგვარი სარკაზმისა თუ ირონიის გარეშე ვამბობთ: ასეთი რამ მსოფლიოს არცერთი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში არ ხდება! ამჯერად იმას არ ვგულისხმობთ, სეზონის ბოლოსკენ უნიჭოდ დადგმულ "სპექტაკლებს" რომ ვნახულობთ... საქმე ჩვენი გუნდების არნახულ უკომპრომისობაშია და ამ მხრივ გამონაკლისი განვლილი ტურიც არ იყო - შვიდი მატჩი და არცერთი ფრე! და, რა - გგონიათ ასეთი რამ ამ ჩემპიონატში პირველად მოხდა? საერთოდაც, საქართველოს მე-19 ჩემპიონატში 63 ჩატარებულ მატჩში მხოლოდ შვიდჯერ დაფიქსირდა საყაიმო ანგარიში! სამწუხაროდ, ქართველი ქომაგი ამას ვერ "ამჩნევს" და სამი-ოთხი სტადიონის გარდა, "უკომპრომისოდ" მოასპარევე ფეხბურთელებს ცარიელი ტრიბუნების წინ უწევთ თამაში...

გია ტუხაშვილი



დინამო-ვიტ ჯორჯია. მატჩიც დაძაბული გამოდგა და მატჩისშემდგომი მოვლენებიც

ხადბურთი



ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან მყავანაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

25-27 ოქტომბერი, ჩელენჯ ტროფი

ღღას მთელი გუნდი შეიკრიბება

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები, აგრძელებს სამზადისს „ჩელენჯ ტროფისთვის“. როგორც იცით, გუნდი დაბანაკებულია „დინამოს“ საკალათბურთო ბაზაზე, სადაც დილაობით ვარჯიშობს, ხოლო ბაზაზე სახელბურთო მოედნის არარსებობის გამო, საღამოს ვარჯიშები იმართება „ქარიშხალს“ კომპლექსში.

„ქარიშხალს“ დარბაზი, ჩვენი პირობების გათვალისწინებით, დასაწესი არაა, მაგრამ ერთი ხარვეზი აქვს – განათება სუსტია. მართალია, იქვე მდებარე ასკ-ის დარბაზს უკეთესი განათება აქვს, მაგრამ იგი საღამოობით დაკავებულია ხოლმე.

გუშინდელ ვარჯიშზე, მატება აშკარად თვალში საცემი იყო. ლეგიონერებიდან უკვე ჩამოვიდნენ რატი მსხვილიძე („სტიარნანი“, ისლანდია), რეზო ჭანტურია („მეტალურგი“, მაკედონია),

გიორგი კვერნაძე („აკადემია“, საბერძნეთი), ანდრო ანდრიაშვილი („არანგა სორია“, ესპანეთი) და შოთა გრიშკაშვილი („ორმან სპორტ კლუბი“, თურქეთი). ასევე ნაკრებთანაა ბერძნული „პოსიდიონის“ მოთამაშე-მწვრთნელი გარი თურქია, რომელსაც ევროპის ხელბურთის ფედერაციამ საქართველოს ნაკრებში თამაშის ნება არ დართო. სამაგიეროდ, გარი გუნდის სამწვრთნელო შტაბს აქტიურად უდგას გვერდში და თავის დიდ გამოცდილებას უზიარებს.


ასე რომ, მხოლოდ ორი ლეგიონერი-ღღას ჩამოსასვლელი – ვლადიმერ რუსია („დინამო“, რუმინეთი) და სერგო დათუკიშვილი („ლობუკი“, გერმანია). რუსია, გუშინ ღამით უნდა ჩამოსულიყო, დათუკიშვილი კი ამაღამ ჩამოფრინდება. დათუკიშვილის ჩამოსვლით, გუნდი ბოლომდე შეივსება და მწვ-

რთნელებს ისლა დარჩებათ, რომ „ჩელენჯ ტროფის“ განაცხადში შესაყვანი თოთხმეტეული ამოარჩიონ.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ, გვესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელ მამუკა მყავანაძეს, რომელიც მოსამზადებელი ეტაპის მსვლელობით კმაყოფილია.

– ყველაფერი გემის მიხედვით მიმდინარეობს. საბერძნეთიდან, საკადრო პრობლემები მაინცდამაინც არ გვანუხებს. მართალია, რამდენიმე ხელბურთელს მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ერთადერთი, ტიტე კალანდაძის თამაში ისევ საეჭვო. ვიმედოვნებ, იგი „ჩელენჯ ტროფზე“ ნაკრების დახმარებას შეძლებს. რაც შეეხება ლეგიონერებს, ვინც გამოვიძახეთ, უკლებლივ ყველა ჩამოდის.

კობა ხატიასვილი



გარი თურქია

გარი თურქია ერთ-ერთი „უკანასკნელი მოპიკანია“ იმ გუნდისა, რომელმაც დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეიოფში ითამაშა. მას შემდეგ, რვა წელიწადი გავიდა, საქართველოს ეროვნული ნაკრები კი ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, წლელს, იანვარში დაუბრუნდა ევროპის ნაკრებში ჩამოსვლა და მხოლოდ ახლახან დაუბრუნდა მშობლიურ გუნდს. სამწუხაროდ, კარიერის მუნწურულს, გარი მოთამაშის სტატუსით ვეღარ ეხმარება ნაკრებს, თუმცა, მაინც ჩამოვიდა საბერძნეთიდან, ახალ თაობას გვერდით დაუდგა და გამოცდილებას უზიარებს. ერთ რამედ ღირს იმის ნახვა, თუ როგორი ენერჯით და მონდომებით მონაწილეობს საწვრთნელ პროცესში – არც საკუთარ თავს ზოგავს და ახალგაზრდების მაქსიმალურად „გამოწურვასაც“ ცდილობს.

გარი თურქიას ვარჯიშის შემდეგ გვესაუბრეთ.

ინტერვიუ გარი თურქიასთან მოთამაშეობიდან მწვრთნელობაში

– ამავ ლიგაში თამაშობს გიორგი კვერნაძე. რას იტყვით მასზე?
– გიორგი ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდაა. მას ნაღდად შეუძლია უკეთეს ლიგაში და უკეთეს კლუბში თამაში და ამის დროც მოვა. თუმცა, საკუთარ თავზე მუშაობაც სჭირდება.

– საქართველოს ნაკრებს მოთამაშის სტატუსით ვერ დაეხმარებით...
– შარშან, დეკემბერში, იძულებული გავხდით, საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში მეთამაშე იტალიის საერთაშორისო ტურნირზე. არ მეგონა, რომ ევროპის ფედერაციამ საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლებას აღარ მომცემდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვანაირად მოხდა და გუნდს ვერ დავეხმარები. ისლა დამჩნენია, რომ ნაკრების სამწვრთნელო შტაბს ამოუვადგე გვერდში და ბიჭებს ჩემი გამოცდილება გაეუზიარო.

– წლების შემდეგ, დაბრუნდით საქართველოში და დაგხვდათ ახალი თაობა. როგორ დაახასიათებდით ამ შემადგენლობას?
– ნაკრებს ძალიან დიდი მომავალი აქვს. თუკი ბევრს ივარჯიშებენ და იმრომებენ, დიდი შედეგებსაც მიაღწევენ და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

– თბილისში გამართული 20-წლამდელოთა საკვალიფიკაციო ეტაპის დროს, სტუ-ში ვვარჯიშობდი. სანაკრებო ბატალიების შემდეგ კი სტუ-დან საბერძნეთში აღმოვჩნდი, სადაც გარი თურქიას რეკომენდაციით მოვხვდი. გარის საბერძნეთში ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს და ყველა პატივს სცემს. თავდაპირველად, პირველი ლიგის კლუბ „ავრინოში“ ვთამაშობდი, მერე კი ამავე ლიგის უფრო კარგ გუნდში – „აკადემიაში“ გადავედი. იგი ქალაქ პატრას კლუბია, საკმაოდ კარგი პირობები მაქვს და საბერძნეთის მეორე ლიგაში თამაშიც არაა ურიგო ჩემი ასაკიდან გამომდინარე. მითუმეტეს, რომ ბერძნები პირველ ლიგასაც უმაღლეს დონეზე ატარებენ.

– „აკადემიაში“ სისტემატურად თამაშობ?
– თუ ტრავმა ან დისკვალიფიკაცია არ მაქვს, ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი ვარ და გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო არაა. მწვრთნელებთანაც მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ამ ზაფხულს ისინი საქართველოშიც კი ჩამოვიყვანე...
– საქართველოს ნაკრებში დიდი კონკურენციაა. როგორ ფიქრობ, მო-

კობა ხატიასვილი

ინტერვიუ გიორგი კვერნაძესთან ბრანდებთან პარჯიშის დიდი სკოლაა

გიორგი კვერნაძე ქართული ხელბურთის გულშემატკივარმა შარშან, თბილისში გამართულ ევროპის 20-წლამდელოთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიცნო. მაშინ გიორგიმ საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა და საბერძნეთს მიაშურა. 20 წლის ახალგაზრდა ახლა უკვე ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და თუკი შეკრებისას თავს გამოიჩინოს, რამდენიმე დღეში ქვეყნის უპირველესი გუნდშიც მოხვდება „ჩელენჯ ტროფზე“. გიორგის ნაკრების ვარჯიშის შემდეგ ჩამოვართვით ინტერვიუ საკლუბო და სანაკრებო თემებზე ვესაუბრეთ.

– თბილისში გამართული 20-წლამდელოთა საკვალიფიკაციო ეტაპის დროს, სტუ-ში ვვარჯიშობდი. სანაკრებო ბატალიების შემდეგ კი სტუ-დან საბერძნეთში აღმოვჩნდი, სადაც გარი თურქიას რეკომენდაციით მოვხვდი. გარის საბერძნეთში ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს და ყველა პატივს სცემს. თავდაპირველად, პირველი ლიგის კლუბ „ავრინოში“ ვთამაშობდი, მერე კი ამავე ლიგის უფრო კარგ გუნდში – „აკადემიაში“ გადავედი. იგი ქალაქ პატრას კლუბია, საკმაოდ კარგი პირობები მაქვს და საბერძნეთის მეორე ლიგაში თამაშიც არაა ურიგო ჩემი ასაკიდან გამომდინარე. მითუმეტეს, რომ ბერძნები პირველ ლიგასაც უმაღლეს დონეზე ატარებენ.

– „აკადემიაში“ სისტემატურად თამაშობ?
– თუ ტრავმა ან დისკვალიფიკაცია არ მაქვს, ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი ვარ და გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო არაა. მწვრთნელებთანაც მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ამ ზაფხულს ისინი საქართველოშიც კი ჩამოვიყვანე...
– საქართველოს ნაკრებში დიდი კონკურენციაა. როგორ ფიქრობ, მო-



გიორგი კვერნაძე

ხვდები „ჩელენჯ ტროფის“ თოთხმეტეციან განაცხადში?
– ვნახოთ, ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. ისე, რომც ვერ მოვხვდე განაცხადში, ამაში ტრაგედია ვერ ვხედავ. გარი თურქიას, ტიტე კალანდაძის, ვლადიმერ რუსიას თუ სერგო დათუკიშვილს მხარდამხარ ვარჯიშშიც დიდი სკოლაა.

კობა ხატიასვილი

სელგუბითი

25 ოქტომბერი	16:30
მოდოვა	სოხეთი
18:30	საქართველო
	ახარაბაიჯანი
26 ოქტომბერი	16:30
ახარაბაიჯანი	მოდოვა
18:30	სოხეთი
	საქართველო
27 ოქტომბერი	12:00
ახარაბაიჯანი	სოხეთი
14:00	საქართველო
	მოდოვა


სპორტის სასახლე

2007 MEN'S CHALLENGE TROPHY

თავაზა მოტორსი
TEGETA MOTORS

Austrian

სპორტის სასახლე




საქართველოს ეროვნული ოლიმპიკი კომიტეტი წარმოგიდგინებთ

საქართველო
ნიკიტა მარცხაძე
ნიკიტა მარცხაძე

კალათბურთი

ლეგიონერი

სანიკიძე მუსულა შააფარსა



ვიქტორ სანიკიძე ჯერ კიდევ თბილისშია

ორი კვირის წინათ დავნერეთ – ვიქტორ სანიკიძე ამ ღამით გერმანიაში მიფრინავს, სადაც "კოლნთან" აპირებს კონტრაქტის გაფორმებას.

ჩვენც მოუთმენლად ველოდით ვიქტორის დებიუტს ბუნდესლიგაში, მაგრამ "კოლნის" მიერ გამართული ვერც ერთი მატჩის განაცხადში ქართული გვარი ვერ ამოვიკითხეთ.

ვიქტორის ამბები კვირას უშუალოდ მისგან შევიტყვეთ. მასთან გერმანიაში დარეკვა საჭირო აღარ გახდა – თბილისის სპორტის სასახლეში ვნახეთ. როგორც აღმოჩნდა, სანიკიძეს "კოლნში" ვარჯიშისას შარშანწინდელი ნაოპერაცივი მუხლი ასტივებია, გერმანელი ექიმებისთვის უჩველებია და მათაც მკურნალობა ურჩევიათ.

ვიქტორი ოპერაციის შემდეგ კონსულტაციებს ამერიკელი ექიმისგან იღებდა და საჭიროდ ჩათვალა ამჯერადაც მისთვის მიემართა. ამიტომ იგი საქართველოში დაბრუნდა, მუხლზე სურათი გადაიღო და ამერიკაში გააგზავნა.

"პასუხი აყოვნებს. ჩემი მკურნალი ექიმი შვედულელებში ყოფილა და ამიტომ ჯერ სურათი არ უნახავს. უახლოეს დღეებში იგი სან ანტონიოში დაბრუნდება და მიჩვენს, როგორ მოვიქცე. მანამდე თბილისში ვარ და ფეხს ვასვენებ", – გვითხრა ვიქტორმა.

ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ სანიკიძემ ორივე მუხლის ოპერაცია 2005 წლის ოქტომბერში, სან ანტონიოში გაიკეთა. ის სეზონი ამერიკაში მკურნალობას მოანდომა, ხოლო შარშანწინდელის "ესტუდიანტსში" ითამაშა.

იმასაც დავძენთ, რომ ვიქტორმა ამა წლის ივლისში "სან ანტონიოსთან" ერთად საზაფხულო ლიგაში თამაშისას კოჭის ტრავმა მიიღო და ორი კვირა გაუცდა. "ზედად", იგივე კოჭი ისლანდია-საქართველოს მატჩისას გაუმიზეზდა და პირველივე მეოთხედში შესაცვლელი შეიქნა.

სანიკიძე იმედს იტოვებს, რომ ორთვიანი შესვენება მის ფეხზე დადებითად იმოქმედებს, ხოლო ამერიკელი ექიმი ვარჯიშის განახლების უფლებას მალევე მისცემს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი



ვლადიმერ ბოისა

ლეგიონი

ნაბეზუბი

იტალია

წლიდან წლად სეზონში ლეგიონერების მიმოხილვას ნიკა ცქიტივილზე საუბრით ვინწყებით. ამის საფუძველს თავად ცქიტო გვაძლევდა – ერთმანეთის მიყოლებით 15, 17, 19 ქულას ავადებდა. მიუხედავად იმისა, რომ ნიკამ ბოლო ტურში მხოლოდ 8 ქულა ჩააგდო, ხოლო მისი "ტერამო" "რიეტისთან" სტუმრად 86:94 დამარცხდა, დღესაც იტალიური ამბებით უნდა დავინწყოთ. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვა ქართველ ლეგიონერებს გასულ უქმეებზე თავი არ გამოუდიათ.

ცქიტივილს მწვინელმა რიეტში 19 წუთი გამოუყო და ჩვენთანაც გუნდის ლიდერობა თურქ თუქერს გადაბარა, რომელმაც 37 წუთში 26 ქულა ჩააგდო. ნიკამ 8 ქულას 2-2 მოხსნა-პასი მიაყოლა.

ნაგების მოუხედავად, "ტერამო" იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციას ინარჩუნებს, თუმცა მასთან ერთად მეორე-მეშვიდე ადგილებს კიდევ ექვსი გუნდი ინანილებს.

რუსეთი

წარუმატებლად მოგზაურობს რუსეთში ვლადიმერ ბოისას "პრიმორიე". ვლადიმერ ბოისას გუნდმა შინ სანკტ პეტერბურგის "სპარტაკთან" ნაგების შემდეგ გასვლაზეორი მატჩი გამართა და ჯერ "ურალ გრეიტთან" დამარცხდა, გასულ კვირას კი გიორგი ცინცაძის ყოფილ კლუბ "სამარასთან" (72:76).

ისევე როგორც სხვა პრიმორიელები, ვლადიმერ ბოისაც ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე. მან 5-დან 1 სამქულიანი, 8-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და ნიკაზე ერთით მეტი – 9 ქულა მიითვალა.

4 ტურის შემდეგ "სპარტაკ-პრიმორიე" მე-8 ადგილზეა. მომდევნო ტურში ვოვას თანაგუნდელები მოსკოვის ოლქის "ხიმკის" უმასპინძლებენ და იმედი დავიტოვოთ, რომ ამ მატჩის შემდეგ სატურნირო მდგომარეობას ოდნავ მაინც გაიუმჯობესებენ.

ესპანეთი

საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის ტაირონ ელისის "კახასოლს" კი ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება ჯერაც არ ღირსება. სევილიელები წარმატებასთან ყველაზე ახლოს მე-4 ტურში იყვნენ, მაგრამ საკუთარ კედლებში "ხირონასთან" უკანასკნელ ნამებზე წააგეს – 79:80.

კახასოლსს ვერც ტაირონის დამაჯერებელმა თამაშმა უშველა. ელისმა 37 წუთში 11 ქულა (2-დან 2 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა და 1 პასი ჩაინერა. მასპინძელთა შორის 17 ქულით სწრაფი ამერიკელი აარონ მაილზი გახდა, ხოლო ხირონელთა შემადგენლობაში მისი თანამემამულე არიელ მაკდონალიდი გამოირჩა – 18 ქულა.

თუკი დაგანტერესებთ, გეტყვით რომ "კახა" ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბოლო და ბოლოსწინა (მე-17-მე-18) ადგილებს მენორკასთან ინანილებს. ორივეს ოთხ-ოთხი ნაგება აქვთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ჰოკეი

საქართველოს ჩემპიონატი

წინ არიან რუსი მგლები

ზაფხულის შეკრებების შემდეგ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ყინულის ჰოკეიში განახლდა. "გუნდებს ახალი მოთამაშეები დაემატათ, უფრო დაიხვეწნენ და თამაშის ხარისხიც გაუმჯობესდა, ვიმედოვნებ, ჩემპიონატი უფრო საინტერესო და დაძაბული იქნება", – თქვა საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა დენის დავითოვმა.

საცივურაო მოედნის ცივი გარემო, ზაფხულისგან განსხვავებით, ახლა ნაკლებად სასიამოვნოა, თუმცა მაყურებელი სანახაობით უკმაყოფილო არ რჩება. თბილისის "ყინულის რაინდებისა" და ბაკურიანის "მიმინოს" შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმარჯვეს სტუმრებმა 5:3 (2:1, 0:1, 1:3; გოლე-

ბი: 1:0 ნატროშვილი, 2:0 ჩალათაშვილი, 2:1 ჯეირანაშვილი, 2:2 გოგიჩაიშვილი, 3:2 ნატროშვილი, 3:3 ოვანეზოვი, 3:4 ოვანეზოვი, 3:5 გოგიჩაიშვილი).


1 ტურის ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს თბილისის გუნდები "რუსი მგლები" და "ცეცხლოვანი ჯვაროსნები" დაუპირისპირდნენ. 6:2 გამარჯვებით "რუსი მგლები" სატურნირო ცხრილს სთავებში მოექცა (3:0, 3:1, 0:1; გოლები: 1:0 დავითაშვილი, 2:0 ელიბეკოვი, 3:0 დავითაშვილი, 3:1 გურგენიძე, 4:1 უსანეთაშვილი, 5:1 შერგილაშვილი, 6:1 ლუტიძე, 6:2 ცაგარეიშვილი).

შეგახსენებთ, რომ შეხვედრები ტარდება კვირაში ერთხელ, სპორტის სასახლესთან მდებარე საცივურაო მოედანზე.

დენის დავითოვი: – საქართველოს ფედერაცია ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციაში 2008 წლის თებერვალში გამართულ კონგრესზე გაერთიანდება. ახალი წლის დასაწყისში, უკრაინაში ტარდება საერთაშორისო ტურნირი, რომლისთვისაც აქტიურად ვემზადებით. აღსანიშნავია, რომ რუსეთში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა გამოთქვა სურვილი, დაეხმაროს ჩვენს ფედერაციას, ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

II ტურის პირველი შეხვედრა 26 ოქტომბერს "ცეცხლოვანი ჯვაროსნებსა" და "მიმინოს" შორის გაიმართება.

თიკა ასლანიშვილი





ეპროლიგა 2007-08. I ჯგუფური ეტაპი. კალენდარი

გუშინ, პოლონეთის ქალაქ სოპოტში, ადგილობრივი "პროკომისა" და მოსკოვის ცსკა-ს მატჩით დაიწყო ეპროლიგის საიუბილეო, 50-ე გათამაშება.

წელს, ფორმატი უცვლელია - ორი ჯგუფური ტურნირი, მეოთხედფინალი და ბოლოს, 2-4 მაისს, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში "ოთხთა ფინალი".

Table with columns for rounds (I to XIV) and teams (A, B, C). Round I includes teams like 22 მოქოვარი, 24 მოქოვარი, 25 მოქოვარი.

Table with columns for rounds (I to XIV) and teams (A, B, C). Round I includes teams like 24 მოქოვარი, 25 მოქოვარი.

Table with columns for rounds (I to XIV) and teams (A, B, C). Round I includes teams like 24 მოქოვარი, 25 მოქოვარი.

NBA. სეზონის წინ

ქირაფების დაფინანსება

დღეს, პოზიციების მიხედვით, NBA-ის ბოლო რეიტინგს ვაქვეყნებთ. ლიგაში ძლიერი ცენტრი დიდი დეფიციტი გახდა. იგივე ელ ჰორფორდი "ატლანტა ჰოქსში" მძიმე ფორვარდად მივიდა, მაგრამ წინასასეზონო შეხვედრებში ამ ახალგაზრდას უფრო ცენტრად ათამაშებენ. თუ შაკიმ ოლაჯუონის, შაკილ ონილისა და დევიდ რობინსონის დროს თითქმის ყველა გუნდში იყვნენ სამამიანის იდეალური დამცავები, დღეს მძიმე ფორვარდების უნივერსალიზმი უფრო მისაღებია, ვიდრე მაღალი მოთამაშეიდან ნამდვილი ცენტრალური თავდასხმელის გამოთლა. ჩვენს რეიტინგს კი ღირსეული ლიდერი ჰყავს. დღეს ლიგის ოთხ საუკეთესო ცენტრს წარმოგიდგენთ.

1. იაო მინი (ჰიუსტონი)

"ჰიუსტონი" წლეულს საჩემპიონო ამბიციები აქვს, რაც, პირველ რიგში, არგენტინელი ლუის სკოლას, სტივი ფრენსისისა და მაიკ ჯეიმის მოსვლით არის განპირობებული, მაგრამ ვერცერთი ახალდენიმი ვერ იქონიებს გადასწყვეტ ზეგავლენას ტექსასელთა გამოსვლაზე, თუ ჯანზე არ იქნებიან იაო მინი და ტრეისი მაკგრედი.


ჩინელი ცენტრი პირველი სეზონიდან მოყოლებული, მუდმივად პროგრესს განიცდის და ამ ეტაპზე ლიგის ხუთ ნომრებში უკვე აშკარად საუკეთესოა. მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ნებისმიერი მაღალი მოთამაშის წინააღმდეგ უკვე ნორმად ქცეული 22-23 ქულის, 10 მოხსნისა და რამდენიმე დაფარვის დაგროვება. მინი თავის სიმაღლესთან შედარებით, ძალიან სწრაფია და თითქმის იდეალური კოორდინაცია აქვს. იაო შაკილ ონილის კომპლექსიც მაშინ გადალახა, როდესაც დეკაცი ჯერ კიდევ სახიფათო და ჯანმრთელი იყო, დღესდღეობით კი შაკი მინთან შედარებით, ბევრად ნელი და ტრავმებით გატარებულია. ისე, ჯანმრთელობის მხრივ იაოსაც პრობლემები აქვს და თუ თავს არ გაუფრთხილდა, "როკეტსს" სერიოზული პრობლემები შეექმნება.

მინი კარგად ასრულებს საშუალო სროლებს და ჩინებულად გრძობს თავს პოზიციური იერიში-სას, სადაც მთელი გუნდი შეტევით მის ჩასვლას ელის და როგორც კი იაო ფარქვეშეთი კარგ პოზიციას იკავებს, პასი მასზე ეთადება.

"ჰიუსტონი" პლეიოფში ულამაზოდ გავა, იქ კი ბევრი რამ პირველ ნრეში ტექსასელთა მეტოქეზე იქნება დამოკიდებული. "ჰიუსტონმა" აუცილებლად უნდა მოიპოვოს, პირველ ნრეში მინიც, საკუთარი მოედნის უპირატესობა, რისთვისაც კონფერენციის ოთხ საუკეთესო გუნდში უნდა მოხვდეს. ჯანმრთელი და მოტივირებული იაო მინით, ეს პრობლემატური არ უნდა იყოს.

2. აზარ სტაუდმანი (ფინიქსი)

"ფინიქსის" ვარსკვლავი მთლად ცენტრი არაა, მაგრამ გადახედვით აღნიშნულ რეიტინგს - აქ ბევრი მძიმე ფორვარდია, მაგრამ რაკილა თავიანთ გუნდებში დიდ დროს სწორედ სუთი ნომრის პოზიციაზე ატარებენ, რეიტინგს შესაესებად ისინი იაოს ამოუყენებ გვერდით. აზარ სტაუდმანი ფეთქებადი, უსწრაფესი მაღალი მოთამაშეა, როგორც თითქმის არ თამაშობს გუნდზე და ვისაც პარტიკულად ლიგის ერთ-ერთ უძლიერესი ფლე...



იაო მინი

3. პაუ გასოლი (მემფისი)

ესპანელი უფრო მძიმე ფორვარდია, მაგრამ ესეც სადავოა, რადგან ნაკრებში პაუ გასოლი გამოკვეთილ ცენტრს თამაშობს და დამდეგი რეგულარულიდან, გუნდშიც მეხუთე ნომერი იქნება. არადა, ისიც გაიხსენეთ, რომ "მემფისმა" რეგულარული დანყებად, საკმაოდ დიდი ანაზღაურების საფასურად "ორლანდო" სერბი დარკო მილიჩიჩი დაიმატა და თითქოსდა, დარკო ცენტრი უნდა ყოფილიყო და პაუ მეოთხე ნომერი, მაგრამ ტესტ-მატჩებში გასოლი გამოკვეთილი ცენტრი გახლდათ, მილიჩიჩი კი ან მძიმე ფორვარდად იქცა, ან კიდევ (უფრო იშვიათად) გასოლს ცვლიდა.

"გრიზლის" მთლად საპლეიოფო შემადგენლობა არ ჰყავს, მაგრამ თუ გასოლი და მილიჩიჩი ერთმანეთს კარგად შეეხებენ და დაცვაშიც ბოლომდე დაიხარჯებიან, იქნებ "გრიზლისმა" მერვე საპლეიოფო ადგილისთვის "ლეიკერსს", "კინგსს", "კლიპერსს" და "ტრეილ ბლეიზერსს" სერიოზული კონკურენცია გაუწიოს.

გასოლი "მემფისისთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და როდესაც შარშან, პაუმ გაცილებით ძლიერ გუნდში წასვლა გადაწყვიტა, "გრიზლისს" ბოსებმა ზაფხულში მისი მეგობარი ხუან კარლოს ნავარო დაიმატეს. ამ უკანასკნელს ხუთეულში მოხვედრის ნულოვანი პერსპექტივა გააჩნია, მაგრამ 12-15 წუთს მაინც მიიღებს და ამით თავადაც ბედნიერი იქნება და პაუსაც აღარ უნდა გაუჩნდეს სხვაგან გადაცვლის სურვილი.

გასოლი ძალიან კარგი მეპასეცაა და ორმაგი მეურვეობისას იოლად ამოაქვს ბურთი პერიმეტრზე. ამ კომპონენტში, მაღლებიდან მას მხოლოდ ტიმ დანკანი და ენდრიუ ბოგუტი თუ სჯობნიან.

4. მარკუს კემპი (დენვერი)

კოლორადოელთა ცენტრი შარშან, დამსახურებულად გახდა ლიგის საუკეთესო დამცველი. მარკუს კემპი იდეალური გუნდური მოთამაშეა, რომელსაც საშუალო ორმაგი დუბლის გაკეთება არანაირად არ უჭირს. "დენვერში" შეტევა მთლიანად კარმელო ენტონისა და ალენ აივერსონზეა ანგებული, ხოლო კემპის უკანა პლანზე ყოფნა არც ეთაკილება და პრინციპში, ამ გუნდში სხვანაირად ვერც იქნებოდა.

მარკუსის საამსეზონო სტატისტიკაც 11 ქულის, 12 მოხსნის, 3 დაფარვისა და ერთი ჩაჭრის ფარგლებში იტრიალებს და არ გაგიკვირდეთ, სეზონის ბოლოს, ის ზედზედ მეორედაც რომ დაასახელონ საუკეთესო დამცველად.

კემპი საჯაროობის 72 პროცენტს ავადებს, რაც საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელია და გუნდურ თამაშშიც, იმავე აზარ სტაუდმანიზე ძლიერია. უბრალოდ, მარკუსის მთავარი პრობლემა ხშირი ტრავმია. შარშან მან 12 შეხვედრა გამოტოვა, რაც წინა ორ სეზონთან შედარებით (შესაბამისად, 26 და 16 გამოტოვებული მატჩი) პროგრესი კი იყო, მაგრამ კემპის ამ მხრივ მაინც სირთულეები აქვს.

მარკუსი ძალიან სწრაფია და თუ "ნაგეტსი" სწრაფ კალათბურთს თამაშობს, კემპი გუნდისთვის დიდი სარგებლის მომტანია. "დენვერი" საპლეიოფო გუნდი კი არის, მაგრამ თუ გუნდს ჯანმრთელი კენონ მარტინი და ნენე არ ეყოლება, "ნაგეტსი" ამჯერადაც პირველივე ნრეში დაასრულებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

- 5. კრის პომპი (ტორონტო)
6. დუაიტ ჰოპსონი (ორლანდო)
7. ჯელ ჯეფერსონი (მინესოტა)
8. ბრედ მილერი (საკრამენტო)
9. იმეასიკაოვი (მარსო)
10. მამბრეი (ნუტა)
11. ზაზა ფაჩუსა (ატლანტა)



მიკო კოივუს გარღვევა

როგაბათი

არგენტინა პოფანის თასზე

არგენტინის ნაკრები პოფანის თასის მეხუთე მონაწილე გახდა...

კალათბურთი

სმიტი სამ ბაზრს გამოჰოვებს

„დენვერ ნაბაქსის“ მცველი ჯეი არ სმიტი რეგულარული ჩემპიონატის პირველ სამ მატჩში ვერ მიიღებს მონაწილეობას...

„სრულიად ვიზიარებ პასუხისმგებლობას იმ საქციელზე, რამაც ეს სასჯელი გამოიწვია...“

ბასკლი ერთი კვირა დაიწყება

„ემიშიის ბრიზლისის“ ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, კლუბის ლიდერი პაუ გასოლი კიდევ 5-7 დღე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას...

ჰოკეი

რეინჯერს სტრაკა გამოაკლდა

„ნიუ იორკ რეინჯერსის“ 35 წლის ფორვარდმა მარტინ სტრაკამ თითო მთელი სეზონი „ბოსტონ ბრუინზთან“ მატჩის პირველ პერიოდში მოხდა...

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ვინესოგა შეუჩერება

კოლუმბია-პანკაჟი 1:4

გოლები: 0:1 კესლერი-1 (პაროუზი-3, კუი-1), 0:2 ბიეკსა-1 (კრე-აიკი-3, დ. სედინი-6), 1:2 ნემი-5 (ვიბრონი-2, ჰეისი-2), 1:3 ნესლუნ-დი-3 (მიტჩელი-1), 1:4 კესლერი-2.

ეს იყო ცოტათი უცნაური მატჩი, ვინაიდან მოიგო გუნდმა, რომელმაც მეორე პერიოდში ვერცერთი (!) ზუსტი დარტყმა ვერ შეასრულა და საერთო ჯამში, მეტოქეზე თითქმის ორჯერ ნაკლები გასროლა დაუგროვდა...

ვინესოგა-კოლორადო 3:2

გოლები: 1:0 პერი-2 (ვაბორი-5, დემიტრა-4), 2:0 როლსტონი-3 (ფოსტერი-1, დემიტრა-5), 2:1 არნსონი-1 (სეატოსი-1, საიკი-4), 2:2 ბრუნტი-2 (ზაუერი-1, ვილსონი-4), 3:2 მ. კოივუს-3.

თავის შეიღწილიან ისტორიაში, „ვინესოგა უაილდს“ ასეთი ნარმატივული სტარტი არ ჰქონია. გუნდმა სასტარტო რვა მატჩიდან მეხუთედ მოიგო და ჯერჯერობა არ დამარცხებულა ძირითად დროში...

როგაბათი

რეიტინგები

Table with ATP-ის რეიტინგი (ATP Ranking) columns and rows listing players and their points.

Table with ATP-ის სანაშრომელი რეიტინგი (ATP Doubles Ranking) columns and rows listing players and their points.

Table with ფულაი მონაბარი (Weekly Money) columns and rows listing players and their earnings.

Table with WTA-ს რეიტინგი (WTA Ranking) columns and rows listing players and their points.

Table with WTA-ს სანაშრომელი რეიტინგი (WTA Doubles Ranking) columns and rows listing players and their points.

Table with ფულაი მონაბარი (Weekly Money) columns and rows listing players and their earnings.

TV სპორტი

23 ოქტომბერი, საშაბათი

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რენჯერსი-ბარსელონა (LIVE).

I არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმობილევა.

HTB-კალაი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

SPORT 1 (ჰაკაინა)

07:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ჩელსი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები. 12:00 ექსტრემალური სპორტი.

ფური ეტაპი. III ტური. ცსკა-ინტერი (LIVE). 22:15 სპორტინფორმაცია: ტრენინგები.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი. 11:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.

